№ 222 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. შაბათი, ოქტომბრის 2 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## სახელმწიფო თეატრი

2 ოქტომბერს 1920 წ.

### რიგოლეტო

მონაწილეობენ: ბაიარსკაია, იანსა, ოვსიანიკოვა, ნეიმანი, ზასლავსკაია, ზალიპსკი, დროზდოვ-პოლიაევი, დემიანენკო, კურბატოვი, ქურხული და ეზროვი,

3 ოქტომბერს 1920 წ. „აბესალომ და ეთერი“

4 ოქტომბერს 1920 წ. დემონი

919 1—1

ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი.

## ქუთაისის სავაჭრო სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების გამგეობა აცხადებს

რომ ამა წლის 12 სექტემბრის აქციონერთა პირველ საზოგადო კრების დადგენილებით აქციების ღირებულების მეორე ნაწილის განაღდების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია

### ამა წლის პირველი ნოემბერი

ეს თანხა უნდა იქნეს შემოტანილი ქ. ქუთაისში საზოგადოების სალაროში ან მის სახელდახელო ანგარიშზე „ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ნდობის საზოგადოებაში“.

916 3—2

## საქ. დემოკრ. რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო

თანახმად სამრეწველო წესდების მე-127, 129, 132 და 135 მუხლებისა (კანონთა კრებული ტ. მეორე ნაწილი მე-2-ე გამოც. 1913 წ.) ნებას აძლევს ქუთაისში არსებულ თამბაქოს ქარხანას ძმ. ქავთარაძეებისა ისარგებლონ მათ მიერ წარმოდგენილ საქონლის ნიშნით ათი წლის ვადით. (მოწმობა 30 სექტემბერი 1920 წ. № 1931). 2954 1—1

## ოფიციალური განყოფილება.

## სახელმწიფო ბიუჯეტი 1919-1920 წლისა.

### სახელმწიფო გასავალი 1919—20 წლისა.

| №№ რიგზე. | უწყებანი. | | ნავარაუდევია. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|
| 1 | დამფუძნებელი კრება | | 10.495.515 მ. | |
| 2 | მთავრობის საქმეთა მმართველობა | | 181.973.299 „ 10 კ. | 1) მე-2 №-ში სახელწოდებით „მთავრობის საქმეთა მმართველობა“—შედის 180.000.000 მ. გადაცემული საოპერაციოთ მთავრობის განკარგულებისათვის. |
| 3 | შინაგან საქმეთა სამინისტრო | | 207.822.692 „ 60 „ | |
| 4 | სახალხო განათლების სამინისტრო | | 137.456.956 „ — „ | |
| 5 | სამხედრო სამინისტრო | რეგულიარული | 379.176.786 „ — „ | |
| | | სახალხო გვარდია | 159.614.846 „ — „ | |
| 6 | გარეშე-საქმეთა სამინისტრო | | 24.264.296 „ — „ | |
| 7 | იუსტიციისა | | 55.092.753 „ 98 „ | |
| 8 | ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწ. სამინისტრო | | 293.404.042 „ — „ | 2) მე-8 №-ში ნაჩვენებ თანხაში იგულისხმება 250.000.000 მ., რომელიც მიღებული აქვს უწყებას სავალიუტო საქონლის შესაძენად. |
| 9 | მიწათ-მოქმედების სამინისტრო | | 83.646.396 „ 92 „ | |
| 10 | გზათა | | 417.280.812 „ 80 „ | |
| 11 | შრომის | | 1.140.550 „ — „ | |
| 12 | სახელმწიფო კონტროლი | | 9.121.851 „ 60 „ | |
| | სულ | | 1.960.490.798 „ — „ | |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

## სახელმწიფოს გასავალი 1919-20 წლისა.

| №№ რიგზე | §§ ხარჯთ-აღრიცხვ. | ხარჯის დანიშნულება | ნავარაუდევია მანეთი | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| | | **საქართველოს დამფუძნებელი კრება.** | | |
| 1 | 1 | დამფუძნებელი კრების წევრთა შენახვა და საწარმომადგენლო ხარჯი | 7465000 | — |
| 2 | 2 | დამფუძნებელი კრების კანცელარიის შენახვა | 2930515 | — |
| 3 | 3 | საგზაო და დღიური ხარჯი | 100000 | — |
| | | დამფუძნებელი კრების ხარჯის ჯამი | 10495515 | — |
| | | **მთავრობის საქმეთა მმართველობა.** | | |
| 4 | 1 | მთავრობის თავმჯდომარისა და მისი კანც. შენახვა | 250600 | — |
| 5 | 2 | მთავრობის საქმეთა მმართველობის პირადი შედგენილობისა და კანცელარიის შენახვა | 969203 | — |
| 6 | 3 | მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებაში სხვა და სხვა დანიშნულებისათვის | 180753496 | 10 |
| | | მთავრობის საქ. მმართვ. ხარჯის ჯამი | 181973299 | 10 |
| | | **შინაგან-საქმეთა სამინისტრო.** | | |
| | | 1. საერთო ნაწილი. | | |
| 7 | 1 | მინისტრის და მისი ამხანაგის შენახვა | 212800 | — |
| 8 | 2 | ცენტრალ დაწესებულებათა შენახვა | 1362617 | — |
| 9 | 3 | სამკურნალო-სანიტარული განყოფილების შენახვა | 1054545 | — |
| 10 | 4 | საბეითლო სამმართველოს შენახვა | 80591 | — |
| 11 | 5 | ადგილობრივ საერთო ადმინისტრატიულ დაწეს. შენახვა | 27150 | — |
| 12 | 6 | არქივისა და სტამბის შენახვა | 7787 | — |
| 13 | 7 | ადგილობრივ სამილიციო და სხვა დაწესებ. შენახვა | 80812509 | 63 |
| 14 | 8 | საგუბერნიო ბატალიონის შენახვა | 9087716 | — |
| 15 | 9 | ადგილობრივ სამკურნალო სამმართველოს შენახვა | 3559326 | 30 |
| 16 | 10 | სამკურნალო საზოგადოებისთვის დახმარება | 12300 | — |
| 17 | 11 | საბეითლო ნაწილის შენახვა | 2918225 | — |
| 18 | 12 | შენობათა ქირა | 94628 | — |
| 19 | 13 | ადმინისტრაციის სხვა და სხვა ხარჯი | 1452489 | — |
| 20 | 14 | საგზაო ხარჯი | 221000 | — |
| 21 | 15 | სხვა და სხვა საგამგებლო ხარჯი | 12100000 | — |
| 22 | 16 | გეოგრაფიულ საზოგადოებას | 12000 | — |
| 23 | 17 | შემწეობა სხვა და სხვა შემთხვევის გამო | 29760944 | — |
| 24 | 18 | მაჰმადიანთა სასულიერო სამმართველოები | 75554 | — |
| 25 | 19 | სხვა სარწმუნოებათა სამაართველოები | 47699 | — |
| 26 | 20 | შევმრდომებელი დაწესებულებების შენახვა | 397667 | 47 |
| 27 | 21 | ბრმათა შევრდომება | 190309 | — |
| 28 | 22 | საქართველოს დეპეშათა სააგენტო | 452398 | — |
| | | საერთო ნაწილის ხარჯის ჯამი | 143920255 | 40 |
| | | **II. ფოსტის და ტელეგრაფის მმართველობა.** | | |
| 29 | 23 | ფოსტის და ტელეგრაფის მმართველობა | 1802745 | |
| 30 | 24 | ადმინისტრაციის სხვა და სხვა ხარჯი | 103000 | |
| 31 | 25 | ადგილობრივი საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებანი | 37326949 | |
| 32 | 26 | ბინის დაქირავება და შენობათა მოვლა | 190136 | |
| 33 | 27 | საფოსტო ოპერაციების წარმოება რკინის გზის სადგურებსა და სასოფლო სამმართველოებში | 40000 | |
| 34 | 28 | საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო დაწესებ. საგზაო ხარჯი და უმცროს მოსამსახურეთა წამლობა | 52000 | |
| 35 | 29 | ფოსტა და დეპეშების გაგზავნის ხარჯი | 1736489 | |
| 36 | 30 | კორესპონდენციის გადაგზავნით გამოწვეული სხვა და სხვა ხარჯი | 24000 | |
| 37 | 31 | სატელეგრაფო ქსელის გაბმა და შეკეთება | 7469000 | |
| | | ტელეფონის ქსელის მოწყობა (გაბმა) | 1184000 | |
| | | ფოსტა და ტელ. სამმართველოს საერთო ხარჯი | 49928319 | |
| | | **III. საქართველოს საკათალიკოსო.** | | |
| 38 | 32 | სამღვდელოებას იმ მინდობილობათა შესრულებისათვის, რომელიც მას დავალებული აქვს სახელმწიფოს მიერ | 1714699 | |
| 39 | 33 | ისტორიული და ხელოვნების მხრივ მნიშვნელოვანი ტაძრების შესანახად | 11356 | 20 |
| | | საქართველოს საკათოლიკოსოს ხარჯი | 1726055 | 20 |
| | | **IV განყოფილება.** | | |
| 40 | 34 | შინაგან საქმეთა სამინისტროს სტამბის შენახვა | 132904 | |
| 41 | 35 | გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის შენახვა | 558492 | |
| 42 | 36 | საერობო დაწესებულებათა შესანახად, რომელიც ითვლებიან | | |
| 43 | 37 | შინაგან საქმეთა სამინისტ. გამგებლობაში და არ არის გადაცემული ერობისათვის | 7069126 | |
| 44 | 38 | შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმი—სპეკულიაციის, კონტრ-რევოლიუც., მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად | 4251155 | |
| 45 | 39 | შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საინსპექციო ადმინისტრატიული ნაწილის შენახვა | 236386 | |
| | | მეოთხე განყოფ. ხარჯის ჯამი | 12248063 | |
| | | შინ.-საქ. სამინისტრ. ხარჯის ჯამი | 207822692 | 60 |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

# ტფილისის ვაჭართა ბანკის გამგეობა

ამით აუწყებს ბანკის აქციონერებს, რომ 1919 საოპერაციო წლის დივიდენდის მიცემა შემდეგი ანგარიშით:

**პირველი, მეორე და მესამე გამოცემათა თითოეულ აქციაზე-25 მ. მეოთხე გამოცემის აქციაზე-8 მან. და 34 კ.**

დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბრის 2-დან ბანკის ბინაზე.

ბანკის აქციონერებმა დივიდენდის მისაღებათ უნდა წარმოადგინონ პირველი გამოცემის ნამდვილ აქციის 1919 წ. კუპონი № 7, დანარჩენ გამოცემათა აქციებზე კი—დროებითი მოწმობები ფულის მიცემის შესახებ სათანადო ნიშნის დასასმელად.

917 1—1

---

**არა ოფიციალური განყოფილება.**

---

# ევროპის სოციალისტური დელეგაცია პროვინციაში.

## იმერეთში.

### მიტინგზე.

(გაგრძელება)

შუაგულ ბაღში მაღალი ტრიბუნა მორთულია ხალიჩებით და ყვავილებით. ზღვა ხალხით გაჭედილია მიდამო, ხეების ტოტები სავსეა ბავშვებით. სტუმრების გამოჩენაზე როგორც მოძრავი საკვირველება შეინძრა ხალხი, ვაშა და ვაშა ექსოვა ერთმანეთში, ხოლო ხეებზე გახიზნულ მოსწავლეების ჟრიამული ცამდე წვდება. დელეგატები ესტრადაზე იკავებენ ადგილებს. იქვე მათთან სხედან ნ. რამიშვილი, ალ. ლომთათიძე, ქალაქის თავი, სხვა და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა და დაწესებულებების წარმომადგენელნი.

**ნ. ჭუმბურიძე** ხსნის მიტინგს და ამბობს: ჩვენ ბევრჯელ გაგვიმართავს მიტინგი აქ, მაშინ როცა გამარჯვებას ვდღესასწაულობდით და როცა მტერი გვესხმოდა, როცა მარტოთ ვიყავით და ალყა შემორტყმულად ვგრძნობდით თავს მარა არასოდეს ამ ტრიბუნას არ მიუზიდავს იმდენი ხალხი, რამდენსაც ვხედავთ აქ დღეს და ეს იმისთვის, რომ დღეს აქ არიან ის ამხანაგები რომლებზედაც გვეჭირა თვალი გაჭირვების დროს.

ამხ. **კ. გვარჯალაძე** აცნობს ხალხს სტუმრებს სათითაოდ, რაც იწვევს მხურვალე ტაშს და ოვაციებს. დელეგაციის მხრით პირველი ლაპარაკობს ფრანგი დელეგატი ამხ. **მარკე**, რომელიც სხვათა შორის ამბობს: „სამი წლის წინეთ დაემხო რომანოვთა სამეფო ტახტი და ჩვენ, ევროპის „სოციალისტებს გვწამდა, რომ რუსეთი გაჰყვებოდა სწორ გზას, მარა შევცდით. მხოლოდ თქვენ შეგრჩათ რევოლიუციით მონაპოვარი, და ჩვენ აქ ვხედავთ; რომ ორი წლის განმავლობაში გამოგივლიათ ბევრი გაჭირვება, ვიცით რომ არა ერთ და ორ დღეს მოგკლებიათ პური, მაგრამ თუ არა შრომით, ვერ დასძლევთ გაჭირვებას. თქვენ იცით, რომ ერთის დაკვრით შეუძლებელია ქვეყნის გარდაქმნა, რომ საჭიროა მეთოდიური თანდათანობით მუშაობა და არა ანარქიული გამოსვლა და უკვე შექმნილის განადგურება. და ჩვენ, როცა მივალთ ევროპაში; ვიტყვით, რომ აღმოსავლეთში არის ერთი პატარა ქვეყანა, რომელსაც სურს დამოუკიდებლობის დაცვა იმ პრინციპებზე, რომელზეც სდგას ევროპის დემოკრატია და პროლეტარიატი შენი მოვალეობაა დაიცვა ის თქვა".

მარკეს შემდეგ ტრიბუნაზე ადის **მაკდონალდი**, რომელსაც ხალხი ოვაციებს უმართავს. „ძვირფასო ქართველო ამხანაგებო და მეგობრებო,—იწყებს ის—მე მწყინს, რომ არ შემიძლია გამოვსთქვა ქართულათ ის მადლობა, რომელიც უნდა დავტოვო აქ ასეთი აღტაცებით მიღებისათვის. მარა საუკეთესო მადლობა იქნება, როცა მივალთ ინგლისში, იქ პროფ. კავშირებში, პარლამენტში და მუშათა პარტიაში გავსწიოთ აგიტაცია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რომ პროლეტარიატმა აიძულოს ევროპის მთავრობები იცნონ საქართველო (ხანგრძლივი ტაში) თქვენ გაგიწევიათ ბრძოლა ისტორიულად, როცა ცარიზმის დროს ქუთაისი ციმბირს უგზავნიდა საუკეთესო შვილებს, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს შვილები იბრძოდენ ხალხის გასანთავისუფლებლათ. საქართველოს ისტორია არ არის მარტო საქართველოს ისტორია, ეს არის ისტორია ცივილიზაციისთვის ბრძოლისა, ეს არის ისტორია აღმოსავლეთის ბარბაროსობისა და ჩრდილოეთის იმპერიალიზმისაგან თავდაცვისა. როცა მე ყაზბეგში ვიყავი ცა შეფენილი იყო ღრუბლებით, ხოლო როცა მეორე დღეს მოიწმინდა და გამოჩნდა მთის მწვერვალთან სხივებით მოჭედილი გვირგვინი, მე წარმომიდგა მაშინ მუშათა კლასის განთავისუფლების დღე. და ამ გზისკენ ყველაზე სწორ, მიუხვეველ ბილიკებით მიდის საქართველო და ჩვენ ფიცს ვდებთ ვიბრძოლოთ რათა მიიღოს დიდებულ საქართველომ ნაციათა ლიგაში ის, რისი ღირსიც უდაოთ არის იგი". ხანგრძლივი ტაში და ოვაციები ფარავს მაკდონალდის სიტყვებს.

უკანასკნელათ ლაპარაკობს ბელგიის წარმომადგენელი **დე-ბრიუკე**, რომელიც აღტაცებულია საქართველოში ნახულით და თავის ამხანაგებთან ერთად ხალხს ფიცს აძლევს დაიცვან ევროპაში თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს იდეალები.

ამასობაში კოკისპირული წვიმა დაუშვა. **ნ. ჭუმბურიძე** მადლობას უხდის დელეგაციას და ამბობს: „ძვირფასო ამხანაგებო, აი ამ წითელი დროშის ქვეშ გავიმარჯვეთ იმისთვის, რომ ჩვენ მივდიოდით თქვენი გზით. ჩვენი სახელით გადაეცით ევროპის მუშათა კლასს, რომ როცა თქვენ მიიტანთ უკანასკნელ იერიშს კაპიტალისტურ წესწყობილებაზე ჩვენც თქვენთან ერთად ბრძოლის პირველ რიგში ვიქნებით". ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით აცილებენ სტუმრებს. მიტინგი იშლება. დაღამდა.

### ეროზაში.

6 ს. 30 წუთზე დელეგაცია მივიდა ქუთაისის სამაზრო ეროზაში, სადაც იგი გულდასმით გაეცნო ეროზის მუშაობას. ყველა კითხვაზე უპასუხებდა ეროზის თავჯდომარე ქ. სულაქველიძე. აქ დელეგაციამ ერთი საათი დაჰყო. გამოთხოვებისას ჰიუსმანსს მოაგონდა ერთი შემთხვევა როცა მან პირველად გაიცნო სულაქველიძე. 1906 წელში—ამბობს ის—სულაქველიძე იყო ბელგიაში და იძენდა იარაღს ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ სამხედრო ორგანიზაციისთვისო.

### პროფ. კავშ საბჭოში.

ეროზიდან დელეგაციამ შეიარა ქუთ. გუბ. კოოპერატივთა კავშირში, საიდანაც საქმეების გაცნობის შემდეგ წავიდა პროფ. კავშირთა საბჭოში. დარბაზი გაჭედილია მუშებით. რევოლიუციონურ მოღვაწეთა სურათები ამშვენებენ კედლებს. მისასალმებელ სიტყვას ამბობს გ. ტუსკია, რომელსაც უპასუხებს **თომას შოუ.** ის სხვათა შორის ამბობს: „მე აქ თქვენთან მოვედი არა მარტო როგორც წარმომადგენელი ინგლისელ მუშებისა, არამედ მთელი პროფესიონალური მოძრაობისა, ვინაიდან მე კავშირში შევედი 11 წლიდან. დღემდი ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა წარმოადგენდა უფრო აპოლიტიურ ორგანიზაციას. ეხლა კი, ომის შემდეგ, როცა წამოიჭრა მრავალი კითხვა, რომელთა გადაჭრას მოითხოვს ცხოვრება, ჩვენმა პროფესიონალურმა მოძრაობამ შესცვალა გეზი, მან მონახა თქვენ მიერ არჩეული გზა. ჟენევის ინტერნ. კონგრესზე მე ვნახე თქვენი წარმომადგენელი და გისურვებთ, რომ პროფესიონალურ მოძრაობის კონგრესსაც დასწრებოდეს თქვენი წარმომადგენელი, რათა შეხვიდეთ საერთაშორისო მუშათა ერთ მთლიან ოჯახში.

საბჭოდან დელეგაცია გაემგზავრა სოც. ფედერალისტთა კლუბში, სადაც ამ დღისათვის მოეწყოთ წევრთა საერთო საგანგებო სხდომა. დელეგაციას აქ მიესალმენ კომიტეტის თავმჯდ. მ. გადაშელი და გრ. ველესიანი, საპასუხო სიტყვით მიმართა **ჰიუსმანსმა**. მან სხვათა შორის სთქვა: „მე ვარ აქ წარმომადგენელი არა მარტო ჩემი პარტიის; არამედ იმ ინტერნაციონალის, რომელიც ემყარება დემოკრატიზმის პრინციპებზე. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ ორგანიზაციების დაყოფვას არ ვიცნობთ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს შორის არის აზრთა სხვა და სხვაობა. თქვენ კი ემყარებით უმთავრესათ ამ სხვა და სხვაობაზე. მე ვიცნობდი 15 წლის განმავლობაში ერთ თქვენ ამხანაგს, რომელიც მიხსნიდა თქვენსა და ს. დ. შორის წარმოებულ დავას. დღეს ეს თქვენს სასარგებლოთ გადაწყდა და მე მიგითითებთ ამსტერდამის კონგრესის დადგენილებაზე, სადაც ნათქვამია, როციალისტურ სექტებათ დაყოფვა ყოველ ქვეყანაში იყოს გაერთიანებული ერთ მთლიან სოციალისტურ პარტიაში. თქვენ ამბობთ, რომ მარქსისტები არა ვართო. ჩვენშიდაც ამბობენ მასე სიტყვით, მარა ცხოვრების ულმობელობას მივყევართ ამ გზით და ზოგჯერ ასე მარქსიზმის უარისმყოფელი უფრო კარგი მარქსისტები არიან. ჩვენის აზრით თქვენს შორის არ არის ღრმა უთანხმოება და მე ინტერნაციონალის სახელით გთხოვთ მიიღოთ ჩვენი შუამდგომლობა თქვენი შეერთების საკითხში (ხანგრძლივი ტაში).

საერთო ოვაციებით და ტაშის კვრით გააცილეს სტუმრები, რომელნიც მიიპატიჟა ქალაქის თვითმართველობამ ვახშამზე.

სრულ 12 საათზე დელეგაცია სადგურზე გაემგზავრა, სადაც რკინის გზის მუშათა კავშირის კლუბში მიესალმენ დელეგაციას. საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს დებრიუკემ და შოუმ, რის შემდეგ სტუმრები მატარებელში ჩასხდენ.

ამ დროს ტფილისიდან ცნობა მოვიდა, რომ გემი უფრო ადრე მოდის ბათუმში დ დელეგაციის ნაწილი მაინც ტფილისში უნდა დაბრუნდესო. დელეგაცია ორათ გაიყო. ამხ. ვანდერველდე, მაკდონალდი, შოუ, დე ბრიუკე, რენოდელი და ინგელსი ტფილისში გაემგზავრენ, ხოლო ჰიუსმანსი, მარკე და სნოუდენი საგანგებო მატარებლით ჯერ სამეგრელოში და შემდეგ გურიაში. მათ თან გაჰყვა შინ. საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი და ალ. ლომთათიძე.

---

# ევროპის დელეგაცია ნაძალადევის სახალხო სახლში.

### ტფილისის ორგანიზაციების შეერთებული სხდომა.

უკვე 5 საათზე დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, მუშათა სახლის წინ, მრავლათ ირევა ხალხი, რომელსაც სურს დარბაზში შესვლა. გამოჩნდნენ რამიშვილი და ჰიუსმანსი—გაისმის ტაშის კვრა, ვაშა, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. ცოტა ხნის შემდეგ იხსნება კრება. მუშათა გუნდი ასრულებს ინტერნაციონალს. სხდომასა ხსნის ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი გ. ბახტაძე, რომელიც ამბობს მოკლე მისასალმებელ სიტყვას. ის სხვათა შორის ამბობს: ჩვენი ორგანიზაციები დიდ მადლობას და სალამს უძღვნიან იმ ამხანაგებს, რომლებმაც გვისმინეს და მოვიდენ ჩვენთან. ჩვენ ეხლა ვართ მუშათა უბანში აქ დაიწყო პარტიული მუშაობა, აქვე დაიწყო თავისუფლებისათვის ძალთა დარაზმვა. ბევრი საკითხი გვაწუხებს ჩვენ, უმთავრესად—ეკონომიური საკითხები, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ინტერნაციონალის დახმარებით და ამ დელეგაციის შემწეობით ჩვენ გავიმარჯვებთ. ჩვენი ეკონომიური განუვითარებლობა არ არის ჩვენი ბრალი: თვითმპყრობლობას არ დაუტოვებია ჩვენთვის მანქანები, განვითარებული წარმოება ამიტომ არ არის დიდი ნაყოფიერება შრომისა, მაგრამ ჩვენა გვაქვს მდიდარი ბუნება, გვყავს შეგნებული, შეკავშირებული მუშათა კლასი, ამიტომ ამ გაჭირვებასაც დავსძლევთ. მხოლოდ ეს საქმე მარტო ჩვენთვის ძნელი მოსაგვარებელია, ამაში უნდა დაგვეხმაროს დასავ. ევროპის პროლეტარიატი, რომელთანაც იდეურს და ორგანიზაციულ კავშირს ჩვენ არ გავსწყვეტთ, სანამ ცოცხლები ვართ. მათი შემწეობით ჩვენ გავიმარჯვებთ. გაუმარჯოს ჩვენს სტუმრებს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს. (ტაში)

**დ. ლორთქიფანიძე.** ესალმება სტუმრებს, როგორც 1-ლი რაიონის მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელი. მას მოყავს რამდენიმე ეპიზოდი რევოლიუციონურ წარსულიდან, იგონებს ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს, აღნიშნავს წითელი გვარდიის დიდ მნიშვნელობას საქართველოს გადარჩენაში. და ამბობს: „ჩვენ ეს გამუდმებითი ბრძოლა ვისწავლეთ—ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვებთაგან. ჩვენ მათგან შევისწავლეთ მეცნიერული სოციალიზმი შემდეგ თეორიას პრაქტიკაში ვატარებდით, ვანხორციელებდით.

ჩვენ გვსურდა დემოკრატიული მთავრობა—ჩვენ დავამყარეთ დემოკრატიული რესპუბლიკა (გაისმის ტაშის კვრა, დარბაზში შემოდიან და პრეზიდიუმის მაგიდასთან მიდიან რენოდელი და შოუ) და ეხლა წადით, **ინახულეთ** ჩვენი მუშაობის ნაყოფი, შეადარეთ ის რუსეთის მუშაობის ნაყოფს და დააფასეთ ეს ორი წყობილება. და ამის შემდეგ ამბავი გადაეცით ევროპის პროლეტარიატს. ეხლა ჩვენ დავამყარეთ თანასწორობა პოლიტიკური, მაგრამ არ არის ეკონომიური თანასწორობა, ეს პირობების ბრალია. არა ვართ ეკონომიურათ განვითარებულნი, განვიცდით ეკონომიურ სიდუხჭირეს, მაგრამ ეს არ გვაშინებს, ამის გაუმჯობესებაში თქვენ დაგვეხმარებით. ჩვენ ბუნება მდიდარი გვაქვს, და მის გამოყენების საქმეში თქვენა ხართ ჩვენი მასწავლებლები. დღეის შემდეგ ჩვენს შორის იქნება გადებული ხიდი, რომლის ერთ მხარეზე იქნებით თქვენ და მეორე მხარეზე ჩვენ. ჩვენ გავამაგრებთ ამ ხიდს და დარწმუნებულნი იყავით, იმ დროს, როდესაც ევროპაში დაიკივლებს სოციალისტური საყვირი ჩვენც თქვენთან ერთად ვიქნებით. ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი აქ მოსვლა განამტკიცებს ჩვენი ხალხის აზრსა და მის ბრძოლის უნარს. თქვენი აზრები და მისწრაფებები ჩვენში ნახევრად უკვე განხორციელებულია, პოლიტიკური უფლებები მოპოებულია, ეხლა უნდა ვიზრუნოთ ეკონომიურ გაუმჯობესებაზე. ამაში ჩვენ გვწამს, რომ თქვენ დაგვეხმარებით. ორატორი სიტყვას ათავებს. გაუმარჯოს ევროპის პროლეტარიატს, გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს (ტაში).

### ჰიუსმანსის სიტყვა.

სიტყვა ეძლევა ჰიუსმანსს, რომლის გამოსვლასაც აუდიტორია ტაშის ცემით ეგებება. ის ამბობს: ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენ აქ ყოფნის უკანასკნელ დღეს, რადგანაც ჩვენ დღეს 10 საათზე მივდივართ, სხდომა არ დაინიშნებოდა, მაგრამ ამხანაგებს გამოუთქვამთ სურვილი—მათ სურთ მოგვისმინონ ჩვენ, მაგრამ არა იმისათვის, რომ დააფასონ თქვენი ბუნება და ქვეყნის სიმდიდრე, არამედ იმისათვის, რომ ვსთქვათ წასვლისას, თუ რა ნაკლი ვნახეთ ამ ქვეყანაში. აი ამიტომ ვიღებ მე სიტყვას. მე მსურს გაუწიო კრიტიკა ნახულს. ჩვენს ქვეყანაში ომის დასრულების დროს, მუშათა კლასი უკიდურეს, უდიდეს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. 3 მილიონიან მუშიდან 800.000 კაცი არ მუშაობდა და საზოგადოებრივი დახმარებით სცხოვრობდა. სხვები ჩამომხმარნი და დაავადმყოფებულები იყვნენ. ეს იმიტომ, რომ ჩემი პატარა ქვეყანა, რომელიც სივრცით 3 ჯერ პატარაა საქართველოზე, ხოლო მცხოვრებლების რიცხვი 3-ჯერ მეტია, დაიკავა გერმანიამ; მან გაანადგურა ჩვენი ქვეყანა, წაიყვანა მუშები თავის ქვეყანაში და იქ ამუშავებდა. ამის მერე დაავადმყოფდნენ და გაუჭირდათ მუშებს. ჩვენშიც შემოვიდა ბოლშევიკური სულისკვეთება. და აი ჩვენ შეგვეძლო დავმდგარიყავით ადვილ, მაგრამ დამღუპველ გზაზე—შეგვეძლო გვეთქვა მუშებისათვის—უბედურება მთლად მთავრობის ბრალია, ჩამოაგდეთ იგი ძირს, აიღეთ ხელში ძალა-უფლება—მაგრამ ამას მოყვებოდა ქვეყნის განადგურება და ამიტომ ჩვენ სრულიად შეგნებულად ჩვენი ქვეყნის განადგურების გზაზე არ შევდექით. ჩვენ ავირჩიეთ ძნელი, მაგრამ უფრო საიმედო გზა. ჩვენ უთხარით მუშებს: თქვენ უნდა გქონდეთ საარჩევნო, კავშირების, სიტყვისა და სხვა თავისუფლებანი და ყოველივე ეს უნდა გატარდეს ცხოვრებაში და ეს თქვენ უნდა მიიღოთ; მაგრამ ამავე დროს აასრულეთ თქვენი ვალი, აღადგინეთ თქვენი ქვეყანა, აამუშავეთ იგი, ეს არ მოსწონდა ბევრს, მაგრამ ჩვენ ამის არ შეგვეშინდა, ეს იყო ჩვენი მოვალეობა. დავდიოდით სოფლიდან სოფელში და ასე ველაპარაკებოდით მუშებს, აგიტაციას ვაწარმოებდით. და მალე ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ეკონომიურად განვითარებულია და მთა-მაღაროებითაა დაფარული, მაღაროებში—1 წლის შემდეგ, იმდენი საქონელი დაამზადეს, რამდენიც ომამდის. და ეს იყო ნაყოფი არა მარტო ჩვენი მუშაობის, არამედ პროლეტარიატის შეგნების, შეკავშირების. ის, რაც მე ვუთხარი ჩვენს მუშებს, უნდა გითხრათ აგრეთვე თქვენ. მე ვადარებ თქვენს ქვეყანას ჩვენს ქვეყანას და თქვენ დაინახავთ განსხვავებას. ჩვენში არის საერთოდ ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც სხვა და სხვა წრეების შეთანხმების ნა-

ყოფია, იქ ჩვენ დიდი გავლენა გვაქვს, მაგრამ მთავრობა ჩვენი არ არის. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არის ეკონომიური სიძლიერე, განვითარება. მაგალითად თქვენ გაქვთ ბუნებრივი ნავთსადგურები—ფოთი და ბათომი, მაგრამ მოუწყობელი. გუშინ ვნახე ფოთი იქ მუშაობს 2.000 მუშა. ჩვენს ერთს ნავთსადგურში, ანთვერპენში კი მუშაობს 24.000 მუშა. აბა, შეადარეთ მუშაობა იქ და აქ, ჩვენი და თქვენი ნავთსადგურის მდგომარეობა, და ჩვენი განვითარება. თქვენ გაქვთ რკინის გზები, მაგრამ სადაც თქვენა გაქვთ 1 ვერსტი რკინის გზა; ჩვენა გვაქვს 1000 ვერსტი. ჩვენ გვაქვს განვითარებული ინდუსტრია. თქვენი ინდუსტრია მხოლოდ ჩანასახშია. მაგრამ, მეორე მხრივ თქვენა გაქვთ ჩვენთან შედარებით უდიდესი შესაძლებლობა ამ მხრივ თქვენ ჩვენზე მაღლა დგეხართ. თქვენ გაქვთ ორი რამე რაც არა გვაქვს ჩვენ:—პირველი ძალა-უფლება უკვე თქვენს ხელშია, თქვენ გაქვთ ხალხის ბატონობა. მეორე მხრივ მდიდრები და უმდიდრესები ხართ. მარტო მარგანეცი, მისი დამუშავებით შეიძლება მთელი თქვენი ხალხის გამოკვება. თქვენ გაქვთ ნაყოფიერი მიწა, მუშაობთ ჩვენზე 10-ჯერ მეტს და მოგდით 3-ჯერ ნაკლები. მაგრამ თქვენა ხართ ჩვენი იმედი, აქ არის ერთად ერთი ქვეყანა, სადაც არიან სათავეში სოციალისტები. ამიტომ თქვენი დაღუპვა და დამარცხება—იქნებოდა ჩვენი იმედების დაღუპვა და დამარცხება, და თქვენი გამარჯვება—ჩვენი გამარჯვებაა. თქვენ უნდა ეკონომიურად გაამაგროთ თქვენი თავი, უნდა განავითაროთ წარმოება, ამისათვის საჭიროა მუშაობა. იმუშავეთ არა მარტო თქვენთვის, არამედ—ჩვენთვისაც—თქვენს მუშაობას ადევნებენ თვალყურს ყველა ჩვენი მოწინაალმდეგენი და ყველა თქვენ შეცდომებს იყენებენ ჩვენს წინაალმდეგ ბრძოლაში. და ამ მხრივ ჩემი მოვალეობაა გითხრათ / ნუ გაამტყუნებთ ჩვენს იმედებს, თანდათანი, მაგრამ რიგიანი მუშაობით გახადეთ თქვენი ბუნებით მდიდარი ქვეყანა მისაბაძ მაგალითად ჩვენთვის და მთელი ევროპისათვის. მე კიდევ ბევრს გეტყოდით, გადმოგცემდით სხვა შთაბეჭდილებებს—მაგრამ ყველა ამის შესახებ ვიტყვით იმ მოხსენებაში, რომელსაც დელეგაცია წარადგენს ევროპაში და რომელსაც თქვენ წაიკითხავთ. სიტყვის გათავებისას გეტყვით, რომ არ არის საკმაო მდიდარი ბუნება და ტეხნიკა, ამას უნდა დაემატოს მუშათა კლასის ნებისყოფა და საქართველოს მუშების მტკიცე გადაწყვეტილება—რომ მათ გამოაღებინონ თავის ქვეყანას ყველაფერი, რაც კი მას შეუძლია. ეს არის აუცილებელი პირობა თქვენი გამარჯვებისა, უამისოდ დამარცხდებით. საშუალო საუკუნოებში ქართველები ცნობილი იყვნენ რაინდობით, გულადობით, გმირობით, ისტორიკოსები /მოგვითხრობენ, რომ იმ დროს როცა პალესტინაში თათრები ბატონობდნენ—მხოლოდ ქართველებმა შესძლეს აეფრიალებინათ იერუსალიმში თავისი საკუთარი დროშა. ეს მოწმობს მათ დიდ გულადობას. ახალ ისტორიის ფურცლებზედაც აღინიშნება თქვენი გულადობა, თქვენ ბევრი იბრძოლეთ თავისუფლებისათვის და ბევრი მსხვერპლი შესწირეთ ამას. და აი, როცა დამყარდება მშვიდობიანობა, როცა აღარ იქნება იარაღის ჟღარუნი—იმ დროისათვის გამოიჩინეთ, ამხ. მუშებო, თქვენი ნებისყოფა, აამუშავეთ თქვენი მდიდარი ქვეყანა—განავითარეთ იგი და გააძლიერეთ. მაშინ სამუდამოდ შეხვალთ თქვენ ჩვენს წყებაში, მაშინ ერთად ვივლით ჩვენი მიზნისაკენ. აი აქეთკენ მოგიწოდებთ მე თქვენ ამხანაგებო. (ტაში)

**დელეგაციის გამგზავრება ბათუმიდან.**

27 სექტემბერს საღამოს 7 საათზე ევროპის სოციალისტური დელეგაცია ბათუმიდან გაემგზავრა. გემის წასვლამდის ბაქანზე ავიდენ, როგორც დელეგაციის წევრები, აგრეთვე მათი გამყოლნი. სხვათა შორის იყვნენ: მიწათ-მოქ. მინისტრი ხომერიკი, დ. შარაშიძე, ჯუღელი, ვ. მგელაძე, ანჯაფარიძე, ჩხიკვიშვილი და სხვები. მიმავალ დელეგაციას ერთ-ერთმა გამყოლთაგანმა სიტყვით მიმართა. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ვანდერველდემ. მან სხვათა შორის განაცხადა: ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება ის სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც თქვენ ჩვენ შეგვხდით. ამან დაგვავიწყა ყველა გაჭირვება ჩვენი ქვეყნისა. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა.

## ფინანსთა სამინისტროში

**განსაკუთრებული კომისია.**

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გასცა განკარგულება რათა დაარსდეს განსაკუთრებული კომისია სამრეწველო და შემოსავლის კვალობაზე გადასახადის პროექტის განსახილველად. ასეთი გადასახადი ეხლა იკრიბება ძველი კანონის მიხედვით და ეს დღევანდელ პირობებში შეუფერებელია. დეკრეტის პროექტით ის ორი გადასახადი გაერთიანდება ერთ პროგრესიულ შემოსავალ კვალობის გადასახადათ შემდეგ საფუძვლებზე: პროგრესიული გადასახადი დაედება 1. ყველა მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს საკუთარი შემოსავალი მიუხედავათ რაოდენობისა. 2. საქართველოში არსებული ყველა სავაჭრო, სამრეწველო, საკრედიტო, სატრანსპორტო და სხვა საზოგადოებათ, რომელთაც კომერციული მიზნები აქვთ. გადასახადის რაოდენობა პირველ ჯგუფის გადამხდელისთვის დამოკიდებული იქნება შემოსავლის კვალობაზედა იმაზედაც თუ როგორი გზით ღებულობს ის შემოსავალს. მეორე ჯგუფს კი გადასახადი საერთო სატრიალებელ თანხის და მისგან ნახულ მოგების მიხედვით დაედება. გადასახადის გადახდის გასაადვილებლად გადასახადი დანაწილდება მცირე ნაწილებათ. გადასახადის შეტანა შეიძლება ყოველდღიურად, ყოველ კვირეულად და ყოველ თვიურად. გადასახადის გადახდა შეიძლება, მარკებით, ჩეკებით და სხვ. გადასახადის სისტემის ასეთი რეკონსტრუქციის შემდეგ მოსალოდნელია გადასახადიდან შემოსავლის მეტად გადიდება.

## მომარაგების სამინისტროში

**სავალდებულო დადგენილება.**

მომარაგების სამინისტრომ გამოსცა სავალდებულო დადგენილება იმ წისქვილების შესახებ, რომლებიც ხსენებულ სამინისტროს განკარგულებაში იმყოფება. თანახმად ამ დადგენილებისა აკრძალულია წისქვილებში არსებულ საწყობებში ხორბლის შენახვა, აგრეთვე აკრძალულია ასეთი ხორბლის დაფქვა. კერძო პირებს, რომლებსაც მომარაგების სამინისტროსთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ, ეკრძალებათ წისქვილში შესვლა. ყოველ დღე ფქვილის სწორი აღრიცხვა უნდა მოხდეს. ქატო წისქვილებში არ უნდა ინახებოდეს უმეტეს ერთი კვირისა. რათა წისქვილებმა იმუშაოს დღე და ღამე შეუწყვეტლად არსდება სამჯეროვანი მუშაობა. დასასრულ მუშებს ევალება უქმე და კვირა დღეებშიაც იმუშაონ.

## შრომის სამინისტროში

**შრომის ნაყოფიერება.**

შრომის კომისარმა დაათვალიერა სადგურ ქსანში ანდრეოლლეტის აგურისა და კრამიტის ქარხანა და შენიშნა, რომ შედარებით 1919 წელთან შრომის ნაყოფიერება დაცემულა. ამის შესახებ მოსალაპარაკებლად შრომის კომისარმა მოიწვია ამ ქარხნის მუშათა კრება და განუმარტა მათ, რომ შრომის ნაყოფიერებაში თვით მუშები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი და ამ მხრივ მუშებისაგან უნდა იქმნას ენერგიული ღონისძიება მიღებულიო. ამასთანავე შრომის კომისარმა ანდრეოლლეტის ქარხნის საქარხნო საფაბრიკო კომიტეტს წერილობითი მოწოდებით მიმართა თვალყური ადევნოს, რათა მუშებმა კეთილ სინდისიერად შეასრულონ თავისი მოვალეობა.

## უცხოეთი

**მუსტაფა ქემალი.**

„სტამბოლი“ იუწყება: მუსტაფა ქემალი მძიმე ავად გახდა. საჭიროებს ოპერაციას. ექიმები შიშობენ, რომ ოპერაციას გართულება მოყვებაო.

**ჩინეთში.**

ჩინეთის მთავრობამ გააფრთხილა რუსეთის ჩინეთში მყოფი საკონსულოები, რათა ისინი მოემზადონ საკონსულოს ბინებზე რუსეთის დროშების ჩამოსაშვებათ. ჩინეთის მთავრობას განზრახული აქვს აიღოს თავის თავზე რუსების ინტერესების დაცვა.

**სიძვირე ინგლისში.**

პრესა იუწყება: ინგლისში პირველ საჭიროების საქონლის გაძვირება გრძელდება. გამონაკლისს ხორცი და არგენტინიდან შემოტანილი სხვა საქონელი შეადგენს.

**გაფრთხილება ინგლისის ფირმებს.**

„ტაიმსის“ ფინანსიურ საკითხების კორესპონდენტი აფრთხილებს იმ ინგლისის ფირმებს, რომლებსაც სურთ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება დაიკავონ და ინგლისის საქონელში ბოლშევიკებისაგან ოქრო მიიღონ. შვეციის მაგალითმა გვაჩვენა, რომ ამ ოქროში გარეულია ვისმუტი და სხვა ნივთიერება, რომელიც ოქროს 18 პროცენტით უკარგავს ღირებულებას.

(გაზეთებიდან)

**პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო ყრილობა.**

ჰოლანდიის სოციალისტური გაზეთი „ჰეტ ფოლკის“ გადმოცემით პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო ყრილობა შესდგება ნოემბერში ქალაქ ბრიუსელში.

**ლატვიაში.**

რუსეთ და ლატვიის სადაო საკითხები გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმებით. რუსეთი აძლევს ლატვიას ტყის კონცესიას. ლატვიიდან გამოზიდულ იარაღებს რუსეთი უკანვე დაუბრუნებს. საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის ორი თვის შემდეგ რუსეთი ლატვიას ვალდებულია მისცეს ოთხი მილიონი მანეთი ოქროთი.

**პოლონეთის სეიმი.**

პოლონეთის სეიმმა თავისი მუშაობა დაიწყო 24 ენკენისთვეს.

**ბრიუსელის კონფერენციაზე.**

ბრიუსელის კონფერენციაზე ინგლისის და ბელგიის დელეგატების მოხსენების შემდეგ მოხსენება გააკეთა ამერიკის დელეგატმა. დელეგატის განცხადების თანახმად ამერიკა სრულიად არ ყოფილა დაინტერესებული საერთაშორისო ფინანსიური სოლიდარობის პროექტით.

**ვილსონი სომხეთის საზღვრების შესახებ.**

უკანასკნელ ცნობების მიხედვით პრეზიდენტ ვილსონს პრეზიდენტის არჩევნებამდის უნდა, რომ გადასწყვიტოს სომხეთის რესპუბლიკის საზღვრების საკითხი.

**ფრანგები მაროკოში.**

ფრანგების კვეტანას ოპერაციები მაროკოში წარმატებით მიდის.

**რიგის კონფერენციაზე.**

რიგის კონფერენციაზე უკვე წინასწარ გამოიმუშავეს საზავო პირობები. საბჭოთა რუსეთ და პოლონეთის შორის როგორც გაზეთები გადმოგვცემენ მოსალოდნელია სრული შეთანხმება და ურთიერთობის დამყარება.

## ჟურნ. „ბოსფორი“ საქართველოს შესახებ.

ჟურნალი „ბოსფორი“ საქართველოს საგანგებო წერილს უძღვნის. წერილის ავტორი ცნობილი ჟურნალისტი სკოტლენდ-ლივია, რომელმაც კავკასიაში ორ წელზე მეტი დაჰყო და რომელიც სულ ამ მოკლე ხანში დაბრუნდა ინგლისში. თავის წერილში სკოტლენდ-ლივი სწერს: „მაშინ, როდესაც მთელი ქვეყნის ყურადღება პოლონეთ ბოლშევიკების ფრონტისკენ იყო მიქცეული, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ძლიერი ომი სწარმოებდა. ამ ბრძოლამ ევროპისათვის თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა. ბოლშევიკების გაერთიანება გერმანიის სოციალისტებთან, რა თქმა უნდა, ევროპის სერიოზულ საფრთხეს შექმნიდა. მაგრამ ასეთივე ხასიათის იქნებოდა ბოლშევიკების კავშირი ოსმალეთის ნაციონალისტებთან ანატოლიაში, ეს კი მოხდებოდა, რომ ქართველ ჯარის კაცებს არ მიეღოთ თავის თავზე მთელი სიმძიმე მდგომარეობისა და არ უკუეგდოთ ბოლშევიკები. ადერბეიჯანის რევოლიუცია იყო არა ბოლშევიკების გამარჯვება, არამედ ოსმალეთის აგენტებისა. ახალგაზრდა ოსმალონი და ბოლშევიკები არაფრის წინაშე არ ჩერდებიან, ოღონდ კი მიაღწიონ თავის მიზანს. დაამყარეს რა საბჭოთა ძალა-უფლება ადერბეიჯანში, ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს ჭადათელონ საქართველო და შეუერთდენ ქემალისტებს. რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულებას ხელი მოსკოვში მოაწერეს, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი წითლებს შეჭრილიყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ქართველებმა იცოდენ თუ რა შეეძლო მოეტანა მათთვის ბოლშევიზმს და შეუპოვრად დაიცვეს თავისი დამოუკიდებლობა. ბოლშევიკებმა შეაჩერეს შეტევა საქართველოს წინაალმდეგ და ომი შესწყდა. საბჭოთა მთავრობამ მოინდომა თავის მიზნის განხორციელება სომხეთის საშუალებით, მაგრამ ბოლშევიკები იქაც სასტიკი და მოულოდნელი წინაალმდეგობას დაეტაკნენ. წითელი იმპერიალისტები, რომლებსაც უნდოდათ რუსეთის წინანდელ საზღვრებში აღდგენა, შესცდენ. ხალხმა გამოაცხადა რა მაისის 26 დამოუკიდებლობა მტკიცეთ დაიცვა იგი. ქართველებმა, რომელთა ისტორია მეტად ხანგრძლივია, შექმნეს კვლავ თავისი სახელმწიფო და ისინი შესძლებენ მის დაცვას. საქართველო მუდმივ საფრთხეში იმყოფებოდა. მას ემუქრებოდენ როგორც ბოლშევიკები, ისე ოსმალისეები. ზიანის მიყენებას ცდილობდენ აგრეთვე ადგილობრივი ბოლშევიკები. მაგრამ მათი ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა. საშიშროება კიდევ არ არის აცილებული, ვინაიდან ბოლშევიკების სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ ეგუება. ცხადია ერთი: საქართველო, რომელმაც დაამსხვრია რუსეთის ბორკილები, საიმედო ბურჯია ბოლშევიზმის გავრცელების წინაალმდეგ.

## დეპეშები

**ფრანგული პრესა.**

**შრომის კონფედერაციაზე.**

შრომის კონფედერაციის კონგრესზე სწერს „მატენი“ უმრავლესობის ჯგუფისაგან ორი ორატორი გამოვიდა: ბიდგარეი და ვაჩხიუელსი, რომელნიც ორი ფედერაციის აზრის გამომხატველნი იყვნენ. რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირის მდივანი ბიდგარეი ამტკიცებდა, რომ შრომის გენერალურ ფედერაციას თანამშრომლობაზე უარი არასოდეს არ უთქვამსო, თუ მისი დამოუკიდებლობა არ იქნება შელახულიო. უკიდურეს მემარცხენეთა წრეებში ამ განცხადებამ გაკვირვება გამოიწვია. კრების უმრავლესობა აღფრთოვანებული ტაშს უკრავდა. ორატორს, როდესაც ის ტრიბუნიდან ჩამოვიდა მას ოვაციები გაუმართეს. მოწინაალმდეგეთ გამოვიდა მარსელის რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგატი.

**მოლაპარაკება რიგაში.**

თავადმა საპეგამ ინგლისის გაზეთებს განუცხადა, რომ რიგის მოლაპარაკება მშვიდობიანათ დასრულდებაო.

**პოლონეთი და ლიტვა.**

პოლონეთმა სთხოვა ლიტვას გამოგზავნოს დელეგატები სუვალკში.

**ბრიუსელის კონფერენციაზე.**

ბრიუსელის კონფერენციაზე ბელგიისა და ინგლისის დელეგატების შესახებ ილაპარაკეს ამერიკის ოფიციალურმა დელეგატებმა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ამერიკა დაინტერესებულია საერთაშორისო ფინანსიურ სოლიდარობით. „მატენის“ ცნობით ამერიკის დელეგატები მომხრე იყვნენ ეკონომიურ საკითხებში დამარცხებულთა და გამარჯვებულთა მორიგებისა.

**საზღვაო ოპერაციები.**

უეზანში სამხედრო საზღვაო ოპერაცია ფრანგების სრული გამარჯვებით დასრულდა. ზოგიერთმა ტომებმა მორჩილება განაცხადეს.

**ბოლშევიკების დევნა.**

რუსეთში ალექსანდროვკის ჩრდილოეთით ვრანგელის ჯარი ბოლშევიკების დევნას განაგრძობს.

**ხელშეკრულება.**

ჩეხო-სლოვაკიასთან დაიდვა ხელშეკრულება ნავთის და ქვა ნახშირის შესახებ.

## ინგლისი და საქართველო.

სექტემბრის 29 ს საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. საბახტარაშვილი ინახულა ბრიტანეთის უმაღლეს კომისრად ნამყოფმა ლიუკმა და დღევანდელმა კომისარმა პოლკოვნიკმა სტოქსმა.

— სექტემბრის 29-ს ლიუკისა და სტოქსის პატივსაცემლად გაიმართა სადილი რომელსაც დაესწრენ გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი, ინგლისის მისიის წევრები, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხ. ალ. ლომთათიძე, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხ. გედევანიშვილი, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი ს. მდივანი და სხვები. სადილი საღამოს 7 საათზე დაიწყო და გაგრძელდა 11 საათამდი. პირველი სადღეგრძელო ფრანგულ ენაზე კ. საბახტარაშვილმა წარმოსთქვა, საპასუხო სადღეგრძელოები სთქვეს ლიუკმა და სტოქსმა და საღამოს 11 საათზე სადილზე დამსწრეებმა ლიუკი გააცილეს სადგურზე. სადგურზე გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. სადგურზე გამოსათხოვარი სიტყვა მას გენერალმა გედევანიშვილმა უთხრა.

## ახალი ამბები

✦ **სომხები საქართველოში.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა შეადგინოს განსაკუთრებული მოხსენება და წარუდგინოს

საქართველოს მთავრობას საქართველოში სომეხთა მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებაში დაწვრილებით გარჩეულ იქნება სომეხთა ავტონომიისა და სასკოლო ავტონომიის საკითხები. ეს მოხსენება წარედგინება დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და ყველა საერობო და საქალაქო თვითმართველობას. მოხსენების შედგენა მიენდო განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიც ყველა ფრაქციის წარმომადგენელი შედის.

**კარლ კაუცკის ჩამოსვლა.** სექტემბრის 30, საღამოს 6 საათ. ტფილისში ჩამოვიდა კარლ კაუცკი მეუღლითურთ. სტუმრის დასახვედრად სადგურზე მოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი კ. საბახტარიშვილი, დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე, დამფუძნებელი კრების წევრნი და სხვა. სწორედ 6 საათ. მოვიდა მატარებელი. ვაგონში კაუცკისთან შევიდა ნ. ჟორდანია, რამდენიმე წუთის შემდეგ ნ. ჟორდანია და კ. კაუცკი ბაქანზე გამოვიდენ, შეხვედრას მეტად ინტესიური ხასიათი ქონდა. კარლ კაუცკიმ და ნ. ჟორდანიამ გადაკოცნეს ერთმანეთი. კაუცკი დამხთურთ ქართულად მიესალმა. სადგურიდან კაუცკი მეუღლესთან ერთად დანიშნულ ბინაზე გაემგზავრა.

**ცირკულიარი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ერობათა და ქალაქთა თვითმართველობებს შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დაუგზავნა: თანახმად არსებული კანონისა ერობათა და ქალაქთა თვითმართველობანი ვალდებულნი არიან წარადგინონ საოლქო სასამართლოში ყოველ წლიურად არა უგვიანეს პირველ ივნისისა ნაფიც მსაჯულთა საერთო სიები. მიუხედავათ ამისა, როგორც იუსტიციის სამინისტრო იტყობინება, თვითმართველობებს აქამდის არ შეუსრულებიათ აღნიშნული კანონის მოთხოვნილება. გატყობინებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ყოველივე თქვენზე დამოკიდებული ზომები, რათა დაუყონებლივ შეუდგენ და წარდგენილ იქნას საოლქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა საერთო სიები.

**კ. ანდრონიკაშვილის გამგზავრება.** პირველ ოქტომბრიდან სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი კ. ანდრონიკაშვილი გაემგზავრა დასასვენებლად ორი კვირით შვებულებაში: სახელმწიფო კონტროლის საქმეთა გამგებლობა დაეკისრა კონტროლის საქმეთა დირექტორს ი. სმირნოვს.

**სომეხი ლტოლვილები.** სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა სთხოვა საქართველოს მთავრობას, რომ მან გაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო წესით სომეხი ლტოლვილები. საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა იმ პირობით, თუ ლტოლვილთა სია შედგენილი და დამტკიცებული იქნება სომხეთისა და საქართველოს კონსულების ურთიერთ შეთანხმებით. არც ერთ ლტოლვილს არ ექნება ნება საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენისა. ერთი შემთხვევაც თუ იქმნა შენიშნული ლტოლვილთა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენისა, მაშინ სომეხ ლტოლვილთა გატარება სრულებით იქნება შეწყვეტილი.

**პურის გამოცხობა.** პროფესიონალურ კავშირის „პროდოვოლსტვიეს“ მდივანმა დიმიტრიადის მიერ იჯარით აღებულ ფურნეში სამუშაოდან დაითხოვა 6 მუშა, რომელნიც შრომის ბირჟიდან არ იყვნენ გამოგზავნილნი და მათ მაგიერ დააყენა არა სპეციალისტი ახლები, რის გამოც ცუდი პური ცხვება. ამის გამო შრომის კომისარმა აცნობა პროფესიონალურ კავშირთა მდივნებს, რომ უკანონოდ მიღებულ მუშების სამუშაოდან მოხსნა უნდა ხდებოდეს მხოლოდ შრომის კომისრის განკარგულებით. პროფესიონალურ კავშირის თავის ნებაზე მოქმედებას დეზორგანიზაცია შეაქვს მრეწველობაში და მას ადგილი არ უნდა ქონდესო. ასევე მიმართა მილიციის კომისარს და აუწყა, რომ მილიციის მოხელეს იმ შემთხვევაში შეუძლიათ უკანონოთ მიღებულ მუშების სამუშაოდან მოხსნა, თუ ამის შესახებ აქვთ შრომის კომისრის განკარგულება.

**საქართველოს კოოპერატიული ბანკი.** საქართველოს კოოპერატიული, ბანკის გამგეობა იუწყება, მეორედ გამოცხადებული აქციები ბლომად საღდება. უკვე 4 მილიონი მანეთის აქცია გასაღდა.

**პურის საქმის რევიზია.** სასურსათო განყოფილების გამგემ მისდამი ხელქვეით დაწესებულებათა მიმართ გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც მათ ევალებათ გაუწიონ ყოველგვარი დახმარება იმ საგანგებოთ დანიშნულ პირს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მიზეზი პურის ღირსების დაცემისა.

**ავიაცია.** ინჟინერთა სამმართველო იტალიიდან სამხედრო მფრინავ პოლკ. მაჭავარიანის დაბრუნებას იუწყება. მაჭავარიანს საფრენი აპარატები ჩამოუტანია. აპარატები საავიაციო ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს. ამ აპარატების სისწრაფე აღემატება ყველა არსებულ ტიპის სისწრაფეს. ამ აპარატების ჩამოტანა იტალიიდან რესპუბლიკის ავიაციისათვის დიდი დღესასწაულია, ვინაიდან ამდენხანს ჩვენ უკვე მოძველებული კონსტრუქციის აპარატები გვქონდა. საინჟინერო სამმართველო იმედს გამოსთქვამს, რომ ქართული ავიაცია ასეთ გაუმჯობესებულ აპარატებით მალე შევა ევროპის ავიაციის ოჯახში სრულ უფლებიან წევრად.

**მუშათა მაგიდის გამოცხადება.** იმ მუშისა და მოსამსახურის დამქირავებლები, რომლებიც ღებულობენ მუშათა მაგიდიდან სურსათს, ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შემოიტანონ დეფიციტის დასაფარავად თვითეულ მოსამსახურეზე 3000 მანეთი. ფული უნდა იქნას შეტანილი მუშათა მაგიდაში კირკის ქუჩა № ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობაში. მუშებსა და მოსამსახურეებს ევალებათ თვით იზრუნონ იმაზე, რომ მათმა მწარმოებლებმა დროზე შემოიტანონ ფული.

## ხელოვნება.

### საოპერო სეზონის გახსნა.

„აბესალომ და ეთერი“

30 სექტემბერს გაიღო სახელმწიფო თეატრის კარები. საოპერო სეზონი ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“-თ დაიწყო.

ზ. ფალიაშვილის ოპერამ უკვე დიდი პოპულიარობა მოიპოვა. და ეს არც გასაკვირველია. ქართველმა ხალხმა პირველად მოისმინა ეროვნული ჰანგები, ხალხის გულში ნადები მელოდიები. ქართული ოპერა დღეს ჩვენთვის ოცნება აღარ არის. იგი უკვე ხორცშესხმულია და ქართული მუსიკის მომავალი დიდ პერსპექტივებით გადიშლება. მუსიკა ხელოვნების უდიდესი დარგია და მისი განვითარება ეს ჩვენი სულიერ კულტურის აღორძინება იქნება.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენ ნიჭიერ კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილს. მისი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართველ ადამიანის სულის ამოძახილია. „აბესალომ და ეთერი“ ეროვნულ მუსიკაზეა აღმოცენებული. აქ თვით ხალხის გული მღერის, ხალხის ნაშობი და ნაწრთობი შემოქმედებაა და ზ. ფალიაშვილმაც ქართველ ხალხის საგანძურით შესანიშნავად ისარგებლა.

დიდი ხელოვნებით არის დაწერილი მთელი პარტიტურა. ზ. ფალიაშვილი დიდი ორღანისტია. მან შესანიშნავად იცის ეკლესიური მუსიკა და მშვენიერადაც აქვს დამუშავებული ეს მუსიკა გუნდებში, ოპერის ფართე კანტილინაში. ტეხნიკური მხრით ბევრი რამ გაუკეთებია კომპოზიტორს. ინსტრუმენტოვკა უკეთესი აღარ იქნება. ზ. ფალიაშვილი შესანიშნავად იმორჩილებს მთელ ორკესტრს. დიდად გახმიანებულია ყოველი ინსტრუმენტი. ზ. ფალიაშვილს, როგორც ტანეევის მოწაფეს, უხელმძღვანელია თავის მასწავლებლის პრინციპებით. განსაკუთრებით ეს ეტყობა ანსამბლში და თვით ორკესტროვკაში. უეჭველია დიდი გავლენა აქვს „აბესალომ და ეთერზე“ ტანეევის „ორესტეიას“ მაგრამ ეს გავლენა არ არის მიბაძვა, როგორც ბევრს ჰგონია. ზ. ფალიაშვილი თავის ოპერაში დიდ თავისებურობას, დიდ ორგინალობას იჩენს და მის ყოველ ინსტრუმენტალურ კალმის მოსმას ნამდვილი ხელოვნების შემოქმედების ბეჭედი აზის.

კომპოზიტორი ახალ ფორმებიდან მოდის. ეს ფორმა მუსიკალური დრამაა. აქეთკენ უნდა წავიდეს თანამედროვე საოპერო ლიტერატურა. მუსიკალურ დრამის მამამთავარმა რიჰარდ ვაგნერმა ამ ხელოვნების დარგში მთელი ეპოქა შექმნა. მის გზას ბევრი ახალგაზრდა კომპოზიტორი გაჰყვა და მომავალშიაც ვაგნერის არჩეულ სწორ გზას უეჭველია კიდევ ბევრი გაჰყვება. ჩვენმა მუსიკოსებმაც ეს გზა არ უნდა დაივიწყონ.

ზ. ფალიაშვილი ვაგნერიანიზმს უფრო მალე ეზიარება ვიდრე სხვა ვინმე. ეს იმიტომ რომ ზ. ფალიაშვილი დიდი ტეხნიკოსია და ტეხნიკა კი ერთი უდიდესი იარაღია სერიოზულ ნაწარმოების შესაქმნელად.

ჩვენ ველით ზ. ფალიაშვილისაგან ახალ სიტყვას. ქართულ ეროვნულ მუსიკის გამდიდრების საქმეში მას დიდი შრომა მიუძღვის და უეჭველია ამ შრომას კიდევ განაგრძობს.

სამწუხაროთ კი უნდა ითქვას რომ ოპერა ამ საღამოს კარგად ვერ იყო შესრულებული.

სეზონის გასახსნელად შეიძლება უკეთესი შემადგენლობა გამოენახათ და ოპერა უკეთესად შეესრულებინათ.

ბ-ნი ზალიპსკი კარგი მომღერალია. ქართულ სიტყვებსაც შედარებით კარგა გამოსთქვამდა მაგრამ აბესალომის პარტიას კი ის ვერა გრძნობს. მის სიმღერაში არა სჩანს სული და ამ საღამოს ყველას ი. სარაჯიშვილის მშვენიერი ინტონაცია და ფრაზიობა აგონდებოდა.

ქ-ნი მანდენოვისა სუსტი ეთერია. მომღერალი ქალის მაღალი რეგისტრები უშნოა და მის მედიუმშიაც არ არის ხმის სირბილე.

ახალგაზრდა მომღერალისთვის ბ-ნ ვენაძისათვის მურმანის პარტია ჯერ ძნელია. შესასრულებლად მომავალში სიძნელეს უეჭველია სძლევს. ბ-ნ ვენაძეს სასიამოვნო ტემპრის ლირიული ბარიტონი აქვს და სწრთვნა-ვარჯიშობის შემდეგ იმედია კარგი მომღერალი დადგეს.

ხორო და ორკესტრი შარშანდელთან შედარებით კარგია.

ოპერას ხელმძღვანელობდა თვით ავტორი და გამოცდილი დირიჟორი-კომპონისტი შესანიშნავად ამეტყველებდა თავის პარტიტურას.

**ვახტანგ გარრიკი.**

## ფოსტა-ტელეგრაფში

### სია ჩაუბარებელ დეპეშებისა

27 ენკენისთვისა.

1) ასურეთიდან—ჭკუასელს; 2) ახმეტიდან—ცაგარელს; 3) ქარელიდან—ნემირდოვს; 4) ბათომიდან—შანშიევს; 5) გურჯაანიდან—ქუმარიტაშვილს; 6) სამტრედიიდან—უფროს მილიციონერს; 7) ყაზბეგიდან—ადამოვს 8) ბათომიდან—გუსეინოვს; 9) ახალქალაქიდან—მარტიროსოვს; 10) ავრუმიდან—მანქაშოვს; 11) ბათომიდან—ჩეიმეზიდის; 12) ქუთაისიდან—გოგუაშვილს; 13) აბასთუმნიდან—არაბიძეს; 14) სოხუმიდან—შოთაძეს; 15) ცხინვალიდან—პარასტაევს; 16) ფოთიდან—თავბერიძეს; 17) სოხუმიდან—ადამოვს; 18) აბასთუმნიდან—ბალახიშვილს; 19) წნორისწყლიდან—თავდიშვილს; 20) გორიდან—ოგანეზოვს; 21) ცხინვალიდან—ჯიოშვილს; 22) ანაგიდან—ნაზარბეგოვს; 23) ლაგოდეხიდან-კრაგელს; 24) ლანჩხუთიდან—მოსკოვის № 33; 25) ყარსიდან—დანოვსკის; 26) თელავიდან—ოგანეზოვს; 27) ბათომიდან—კოვო; 28) სამტრედიიდან—ცუპინისას; 29) სადმელიდან—აჭოხაკე; 30) ბათომიდან—როშტეინს; 31) სამიქაოდან—მიქაძეს.


## განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი მირგუსეინ მირ მამედოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2937 3—1

დაიკარგა სასურსათო წიგნი ოთხი სულისა მიღებული მუშათა მაგიდიდან ალექსანდრე ლაზარიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2938 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა რაჟდენ მოსეს ძე ხიტაროვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2942 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული რუსეთის საკონსულოდან, მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ტფილისში ამაღლების ეკლესიიდან და ქორწინების ქაღალდი ნიკოლოზ ფილიპეს ძე სიზანტიანკის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2943 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, კოტე სიმონის ძე ფალაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2944 3—1

დაიკარგა ატესტატი 1913 წ. და დიპლომი 1914 წ. გაიანე სტეფანეს ასული მირიმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. მეორე ქალთა გიმნაზიიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2945 3—1

სავაჭრო სახლი კოგანი და კომპ. „ობატაკი“ ადესაში აცხადებს, რომ რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევი საზოგადოების კვიტანციები, გაცემული ადესაში ბათუმზე № 5556 1988 ყუთის 1000 ფ. ჟესტით და № 4249—1000 ყუთის 400 ფუთ. ჟესტით დაკარგულია და გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2949 3—1

დაიკარგა საზღვარ-გარეთელი პასპორტი მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან დესდემონა ევგენის ასული ტერიანის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2956 3—1

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევი საზოგადოების ტფილისის კანტორა ამით აცხადებს, რომ ა. წ. ნოემბრის 13-ს დილის 9 საათზე საზოგადოების სრწყობში, რაიც მოთავსებულია მე-3 უბანში, მუშტაიდის შესახვევში სახლი № 4, გაიყიდება ქვემორე აღნიშნული საქონელი, რომელიც მიღების უფლების მქონეთა მიერ დანიშნულ ვადამდე არ არის გატანილი: ოდესის კანტორის კვიტანციების თანახმად №№ 6549864, 6548746, 6547808, 6547805, 6462226, 654.8803, 6548673, 6548659, 6548121. 6548087, 6547801, მოსკოვის №№ 6393464, 6393598, 5788658, 6354296, 6388361, 6388150, 6388422, კრემენჩუგის №№6604563 6604635, 6604633, 6604634, 6604615, პეტროგრადის № 737, როსტოვის № 6404802, ნიჟეგოროდის-6245813, შუშის № 6172963, ცარიცინის № 6532668, ტავრიდის № 269079‘ ბრესტ ლიტოვის. №№ 5011577, 5011578, 5011576, კავკავის № 6530854, ტფილისის №№ 70494, 70499, 38531, 6528459, 6187185, 6187188, 49193, გაიყიდება შემდეგი საქონელი: კასტორის შლიაპები, კოსმეტიური საქონელი, სელიტრა, საკანცელარიო ნივთები, საათუიაქო საქონელი, სათამაშო ქაღალდები, საწერი ნივთები, გუმიარაბიკი, სათამაშო ნივთები, შჩოტკები, სურიკი, ჩალის შლიაპები, მდოგვის ზეთი, ბამბეულის ქსოვილები, პრობკები, ცარიელი ტომრები, სასარაჯო საქონელი, ჩემოდნები, სტამბის შრიფტი, რკინის ლურსმანი, მატრაცები, ზუმფარა (ნაჟდაკი), ფიზიკური ხელსაწყო, პაპიროსის გასაკეთებელი მანქანები რეზინის ნამუშავარი, ელექტრონის მოწყობილობა და თუჯის ნამუშავარი.

საქონლის გასინჯვა შეიძლება ა. წ. ნოემბრის 9-დან, დილის 10 საათიდან 12-მდე საზოგადოების საწყობშივე. 2915 3—2

დაკარგულია ამიერ-კავკასიის ბანკის აქციები: № 5345-5354 და 9717-9726 ლავრენტი ლუარსაბის ძე გრიგოლაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2925 3—2

დაიკარგა ატესტატი აქსენტი ფირანის ძე შაფათავას სახელზე, მიღებული ჩოხატაურის პირველ დაწყებით სასწავლებლიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2809 3—2

დაიკარგა პასპორტი ოვანეს ჯანფოლადოვის სახელზე, მიღებული ერევნის მაზრის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2910 3—2

დაიკარგა საბაჟოს ქუჩაზე სასწრაფო ფოტოგრაფზე მუშაობის ნებართვა № 1256 აგრიკ გიორგის ძე კარტანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2911 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა პავლე ხოსოს ძე შოშიტაშვილის სახელზე, მიღებული ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2913 3—2

დაიკარგა სამრეწველო მოწმობა № 1440 სად. სალოლის ბუფეტის მოიჯარადრე, ვარლამ ილიას ძე ახვლედიანის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2915 3—2

დაიკარგა კავკავში წასვლის ნებართვა კუიუმ ჩიბაშევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2916 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიც. უფროსის სამმართველოდან, მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ვანქის ეკლესიიდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან-რუბენ ოგანეზის ძე კაზაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2928 3—2


სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი